პერსონალური ინფორმაცია

გვარი, სახელი _ _ _ _ _ კირთაძე ნესტან

მისამართი _ _ _ _ _ _ ქ. თბილისი. 0108 არსენას 11/7

ტელეფონი _ _ _ _ _ _ +995 99 57 01 99

ელექტრონული ფოსტა _ _ nestan_kirtadze@hotmail.com

მოქალაქეობა _ _ _ _ _ _ _ _ საქართველო, 01017001868

დაბადების თარიღი _ _ _ _ _ 08/6/1959

სქესი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ მდედრობითი

მეცნიერი, პოლიტიკოსი , დიპლომატი

სამუშაო გამოცდილება

თარიღი :

2018–2017 წწ.

თანამდებობა:
სრული პროფესორი

ორგანიზაციის დასახელება :

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

თარიღი: :

2018–2016 წწ.

თანამდებობა

მიწვეული პროფესორი

ორგანიზაციის დასახელება:
საქართველოს საპატრიარქოს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტი

თარიღი: :
2018_2011

თანამდებობა:
დამფუძნებელი

ორგანიზაციის დასახელება :
არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ქართულ–აფხაზური და ქართულ–ოსური სახლი'' GAOHOUSE; 404412195 (საქართველო. თბილისი)

თარიღი:
2018 _2012წწ

თანამდებობა:
პრეზიდენტი

ორგანიზაციის დასახელება:
ქართულ–აფხაზური და ოსური ევროპული საერთაშორისო მოძრაობა EUGAO (ბრიუსელი, ბელგია)

თარიღი:
2018_2012 წწ.

თანამდებობა:
ვიცე– პრეზიდენტი

ორგანიზაციის დასახელება:
The European Georgian Society. International development and leadership network. EUGS
(ბრიუსელი, ბელგია)

თარიღი:
2018 _ 2013 წწ.

თანამდებობა:
თანადამფუძნებელი და ერთ–ერთი ლიდერი

ორგანიზაციის დასახელება:
International Successful Women Club. ISWC
(ბრიუსელი, ბელგია)

თარიღი:
2013 წელი;

სტატუსი:
საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი;

ორგანიზაციის დასახელება:
სახალხო მოძრაობა

თარიღი:
2018 _2014 წწ.

თანამდებობა:
თანადამფუძნებელი და გენერალური მდივანი

ორგანიზაციის დასახელება:

International EU Georgian trade, industry and investment chamber.IEGTIIC
ბრიუსელი, ბელგია

თარიღი:
2011 _ 2004 წწ.

თანამდებობა:
ერთ–ერთი ლიდერი, საერთაშორისო ურთიერთობების მდივანი;

ორგანიზაციის დასახელება:
საქართველოს ლეიბორისტული პარტია

თარიღი:
2011– 1997წწ

თანამდებობა:
თავმჯდომარე

ორგანიზაციის დასახელება:
სახალხო–დემოკრატიული კავშირი

თარიღი: _ 2007 _1998 წწ
თანამდებობა: _პროფესორი

ორგანიზაციის დასახელება: საქართველოს ისტორიის კათედრა;
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თარიღი:
1998_ 1991 წწ

თანამდებობა:
საქართველოს ისტორიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი

ორგანიზაციის დასახელება:
საქართველოს ისტორიის კათედრა
ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ;

თარიღი:
1999_ 1995 წწ

თანამდებობა:
საქართველოს პარლამენტის წევრი,
საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ორგანიზაციის დასახელება:
საქართველოს პარლამენტი

თარიღი:
1995_ 1992 წწ

თანამდებობა:
საქართველოს პარლამენტის წევრი,
საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ;
დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობების საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელი

ორგანიზაციის დასახელება:
საქართველოს პარლამენტი

თარიღი:
1990_ 1987 წწ

თანამდებობა: _ ასპირანტი

ორგანიზაციის დასახელება:
ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ისტორიის ფაკულტეტი

თარიღი:
1987 _ 1982 წწ

თანამდებობა:
პოლიტიკური ეკონომიისა და საზოგადოებათმცოდნეობის კათედრის ასისტენტი

ორგანიზაციის დასახელება:
ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

განათლება:

თარიღი: 1998 წელი

აკადემიური ხარისხი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

სამეცნიერო დაწესებულება:
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

დისერტაციის თემა:
საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორია.

თარიღი: 1997 წელი

აკადემიური ხარისხი:
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

სამეცნიერო დაწესებულება:
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

დისერტაციის თემა:
საქართველოს დამოუკიდებლობა და ევროპა

თარიღი: 1987_1990 წელი

თანამდებობა:
ასპირანტი

საგანმანათლებლო– სამეცნიერო დაწესებულება:
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თარიღი: 1976_1980 წწ

თანამდებობა: სტუდენტი

საგანმანათლებლო დაწესებულება: აკ. წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტი

პუბლიკაციები:

_1989 წლიდან საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქართულ–ევროპული ურთიერთობების შესახებ გახმაურებული მრავალი საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაციის ავტორი. რომელიც იმთავითვე შეფასდა, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ახალი და უხლესი პერიოდის ხელახალი გააზრების, რევიზიის და თეთრი ლაქების ამოვსების პირველი უსერიოზულესი ნაბიჯების დასაწყისი; ხოლო პუბლიკაციების ავტორი ერთ–ერთ პოპულარულ და მოთხოვნად ავტორად იქცა,როგორც მთავარი და პოპულარული გამოცემებისა და გამომცემლობების, ისე , ფართო სპექტრის საზოგადოებისათვის.

დოქტორი კირთაძე არის გახმაურებული მონოგრაფიების ავტორი, რომელთა შორისაა:

_საქართველოს დამოუკიდებლობა და ევროპა

_ 1924 წლის აჯანყება საქართველოში;

_ კაენ, სად არის ძმა შენი!

_ თანაავტორი პროფესორ დიმიტრი შველიძესთან ერთად წიგნისა_ საქართველოს ეროვნული იდოლოგიის ორიენტირები;

_ თანაავტორი ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის მეცნიერთა ჯგუფთან ერთად წიგნისა_ საქართველოს ისტორია და სხვ.

_ გამომცემელი ორტომეულისა _ ,, გივი გაბლიანის მოგონებები''

_ პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი _ქართველთა საუკუნის ტრილოგიისა _ ,, ნათელი ქრისტესი. საქართველო'', რომელიც თანამედროვე საქართველოს ყველაზე გამორჩეული მონუმენტური ბეჭდური ძეგლი–მატიანეა და უკანასკნელი 17 წლის მანძილზე ღირსეულად წარადგენს საქართველოს საერთაშორისო არენაზე მთელს მსოფლიოში_ მსოფლიო ლიდერების, ექსპერტების, მედიის და ფართო სპექტრის საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.

– – – – –

ზოგადი უნარ–ჩვევები:

მშობლიური ენა:
ქართული

უცხო ენა:
ინგლისური, რუსული ენები

კომპიუტერული პროგრამები:

MS Office, Outlook, Internet, Corel, Illustrator. SPSS (Basic);

– – – – –

საერთაშორისო გამოცდილება და პრეზენტაციები:

2011 წლიდან–დღემდე, როგორც საერთაშორისო ევროპული ორგანიზაციების დამფუძნებელმა, პრეზიდენტმა და საერთაშორისო ევროპული ორგანიზაციების კოალიციის ლიდერმა, დოქტორმა ნესტან კირთაძემ განავითარა საერთაშორისო ქსელური კავშირები და მსოფლიოს მასშტაბით განახორციელა სხვადასხვა მიმართულების საერთაშორისო პროექტებისა და პროგრამების პრეზენტაციები.

კერძოდ:

- ალტერნატიული სამშვიდობო პლატფორმა და პროგრამა ; ეკონომიკური, საინვესტიციო, საგანმანათლებლო , კულტურული , მედია პროგრამები და პროექტები წარადგინა **ბრიუსელში, პარიზში, სტრასბურგში, ბერლინში, ვაშინგტონში; ნიუ იორკში, მოსკოვში, კიევში, ერევანში და სხვ.**
- ალტერნატიული სამშვიდობო პროგრამა და ახალი ინიციატივები დოქტორმა კირთაძემ წერილობით გაუგზავნა **აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პირველ პირებს ალექსანდრე ანქვაბს და ლეონიდ თიბილოვს.**

ქართველი პოლიტიკოსის, მეცნიერის და საერთაშორისო სამოქალაქო დიპლომატის სამშვიდობო ინიციატივას სოხუმი და ცხინვალი და საერთაშორისო მედია ინტერესით და შემხვედრი წინადადებებით გამოეხმაურა.

– – – – –

უფრო დეტალურად:

ბელგია. ბრიუსელი _ განახორციელა სხვადასხვა მიმართულების პროექტების პრეზენტაციები **ევროკომისიაში , ევროსაბჭოში და ევროპარლამენტში; აგრეთვე, ევროპის ლიდერ საერთაშორისო ორგანიზაციებში_ SDA , Friends of Europe , EPC ;** და სხვ.

საფრანგეთი. პარიზი, სტრასბურგი _ **განახორციელა** სხვადასხვა მიმართულების პროგრამებისა და პროექტების პრეზენტაციები **საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, აღმოსავლეთმცოდნეობის პარიზის ცენტრში, სორბონას უნივერსიტეტში;**

პარიზსა და სტრასბურგში განახორციელა, აგრეთვე სხვადასხვა მიმართულების პროექტების პრეზენტაციები და საერთაშორისო განხილვები **ევროპის საბჭოში, ევროპარლამენტში, ევროპის ლიდერ საერთაშორისო ორგანიზაციებში: IFRI, OECD** და სხვ.

_ _ _ _ _

ამასთან ერთად:

UNESCO-ს პარიზის შტაბ- ბინაში პირდაპირი საქმიანი ურთიერთობები დააამყარა და თანამშრომლობა დაიწყო **UNESCO-ს** გენერალური დირექტორის კაბინეტთან და პირადად **UNESCO-ს გენერალურ დირექტორთან** ქალბატონ ირინა ბოკოვასთან, რომლის უშუალო ძალისხმევით განხორციელდა თანამედროვე საქართველოს გამორჩეული აკადემიური პროექტის_ **ქართველთა საუკუნის ტრილოგიის _ „ ნათელი ქრისტესი. საქართველო"-ს** საერთაშორისო აღიარება და საუკუნის წიგნი მოგზაურობს მთელს მსოფლიოში, მონაწილეობს სხვადასვა საერთაშორისო გამოფენებში და პრეზენტაციებზე და ღირსეულად წარადგენს საქართველოს **პარიზში, მოსკოვში, ნიუ იორკში, ტოკიოში , იერუსალიმში** და სხვ;

_ _ _ _ _

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა. ბერლინი:

პრეზენტაციები შედგა : **გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ბუნდესტაგში, და გერმანიის ლიდერ საერთაშორისო ფონდებსა და ორგანიზაციებში.**

დოქტორმა კირთაძემ **გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ კავკასიის დეპარტამენტს** გააცნო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რამდენიმე საერთაშორისო და საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც გერმანელმა დიპლომატებმა გაიზიარეს, როგორც უაღრესად საინტერესო და პრაქტიკული ინიციატივა და განიხილეს, როგორც ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის მოსალოდნელი სარეკომენდაციო წინადადებები და სხვ.

_ _ _ _ _

აშშ-ი. ნიუ იორკი, ვაშინგტონი:

დოქტორმა ნესტან კირთაძემ **უკანასკნელ წლებში, ორჯერ განახორციელა ოფიციალური ვიზიტები აშშ–ი** და უაღრესად მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა, ალტერნატიული სამშვიდობო პროგრამა, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, კულტურული და მედია პროგრამები და პროექტები წარადგინა: **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში, ატლანტიკურ საბჭოში, NDI და IRI ვაშინგტონის ოფისებში, აშშ–ის სხვადასხვა ლიდერ ფონდებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში, „ საქართველოს მეგობრებთან" ვაშინგტონში; გაეროს შტაბ-ბინაში, კოლუმბიის უნივერსიტეტში** და სხვ;

– – – – –

რუსეთის ფედერაცია. მოსკოვი:

ევროპელ კოლეგებთან ერთად ორჯერ შედგა **დოქტორ ნესტან კირთაძის ოფიციალური ვიზიტი მოსკოვში, სადაც გამართა** უაღრესად მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრები_ კონკრეტული სამშვიდობო პროექტებით და დღისწესრიგით .

მოსკოვში შეხვედრები და დისკუსიები გაიმართა რუსეთის პოლიტიკურ, დიპლომატიურ, საქმიან, სამეცნიერო და სახელოვნებო წრეებთან და ინსტიტუტებთან;

РИА Новости_ის პრესკლუბში გაიმართა ქართილ–აფხაზური და ოსური საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებლისა და პრეზიდენტის, დოქტორ ნესტან კირთაძის სპეციალური პრესკონფერენცია. რომელსაც, გარდა ადგილობრივი და საერთაშორისო მედია გამოცემებისა და ჟურნალისტებისა და ექსპერტებისა, ესწრებოდნენ, აგრეთვე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადბენლები;

მოსკოვში, **UNESCO-ს** ეგიდით გაიმართა საერთაშორისო გამოფენა, სადაც მსოფლიოს სხვადასვა ქვეყნების უნიკალურ გამოცემებთან ერთად მონაწილეობდა **ქართველთა საუკუნის ტრილოგიის _ „ ნათელი ქრისტესი. საქართველო"-ს ორი ტომი** .
(პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი_ ნესტან ელისაბედ კირთაძე);

მოსკოვის საერთაშორისო გამოფენამ უნიკალურ ქართულ ექსპონატს საერთაშორისო პრეზენტაციის ქართული სიურპრიზი უწოდა და ამ უნიკალურ ქართულ გამოცემას, როგორც საგანძურს უნიკალური და რარიტეტული ექსპონატების სპეციალური პავილიონი გაუხსნა.

მოსკოვში, საქართველოსათვის ურთულეს დროს , როგორც საერთაშორისო სამოქალაქო დიპლომატი 2–ჯერ მონაწილეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია მეორის ოფიციალური ვიზიტების თანმხლებ დელეგაციებში.

– – – – –

სომხეთი_ ერევანი:

,, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი'' **GAOHOSE** არის საერთაშორისო ორგანიზაცია **AYWA–**ს პარტნიორი ორგანიზაცია, მათ შორის, თანაპარტნიორია **UNESCO**-ს **საერთაშორისო პროექტში –,, ახალგაზრდები კულტურისა და მშვიდობისათვის ''**

საერთაშორისო ევროპული ორგანიზაციების კოალიციის სახელით დოქტორი კირთაძე მონაწილეობდა ერევანში გამართულ საერთაშორისო ბიზნეს ფორუმებში და საერთაშორისო ორგანიზაციების, ინსტიტუტების, დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო მედიის წინაშე წარადგენდა საქართველოს , როგორც განსაკუთრებული შესაძლებლობების ქვეყანას და მის როლს რეგიონის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარებისათვის.

– – – – –

უკრაინა_ კიევი, ჩერკასი, ოდესა:

International Successful Women Club. ISWC და დოქტორი ნესტან კირთაძე
არის სრულიად **უკრაინის წარმატებულ ქალთა კლუბის КУЖ -ის** პარტნიორი და სხვადასხვა მიმდინარე პროექტების თანაპარტნიორი , მათ შორის თანაპარტნიორია წარმატებული და აღიარებული საერთაშორისო პროექტისა **EUROWOMAN -2014-15** ;

გამოკვეთილი პარტნიორია უკრაინაში აშშ–ის საელჩოს პატრონაჟით გამართული საერთაშორისო ბიზნეს ფორუმებისა; აგრეთვე , სხვადასხვა ფორმატის საქმიანი შეხვედრებისა **და ფორუმებისა _ თბილისი– ბრიუსელი–კიევი– ჩერკასი –ოდესა** და სხვ.

– – – – –

საქართველო:

– საქრთველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და მთლიანობის საკითხი ქართული პოლიტიკური დღისწესრიგის უმნიშვნელოვანეს საკითხად აქცია ქართულ–აფხაზური და ოსური საერთაშორისო მოძრაობის პრეზიდენტმა ნესტან კირთაძემ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის კანდიდატის რანგში სრულიად საქართველოს მოსახლეობას ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, სტუდენტ–ახალგაზრდობას, ქართულ ემიგრაციას გააცნო და გაუზიარა ალტერნატიული სამშვიდობო პროგრამა; ეკონომიკური, საინვესტიციო, საგანმანათლებლო და კულტურული პროექტები,

საკანონმდებლო და საკონსტიტუციო ინიციატივები.; კონფლიქტური რეგიონებიდან მიმართა ნათესავ ხალხებს_აფხაზებს და ოსებს.

– – – – – –

_ საქართველოს პრემიერ–მინისტრის და მთავრობის მხარდაჭერით , საქართველოს კულტურისა და ძეგლთადაცვის სამინისტროსთან პარტნიორობით დაასრულა და გამოსცა წიგნი–მატიანე, ქართველთა საუკუნის ტრილოგია – "ნათელი ქრისტესი. საქართველო", რომელიც საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერების, მიერ შექმნილი აკადემიური რარიტეტული გამოცემაა.

პროექტი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავსა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ეპოქალურ მოღვაწეობას ეძღვნება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დიდი ხნის მანძილზე განიხილავდა იდეას და ეწეოდა კონსულტაციებს, რათა შექმნილიყო მონუმენტური წიგნი ქრისტიანული ცივილიზაციის უძველესი ქვეყნის – საქართველოს შესახებ;

სწორედ პატრიარქის ამ იდეამ ერთდროულად და ერთ პროექტში გააერთიანა საქართველოს ყველა დროის ცნობილი საერო და სასულიერო მეცნიერი და გაიარა უნივერსალურ ფორმულაზე – "რწმენა და ცოდნა";

უკვე წლებია, კულტურის მსოფლიო დედაქალაქებში, სხვადასხვა საგამოფენო დარბაზებსა და სპეციალურად მოწყობილ პავილიონებში ქართველთა საუკუნის წიგნი ღირსეულად წარადგენს საქართველოს და ყველგან გულწრფელ აღფრთოვანებას იწვევს და საერთაშორისო აღიარებას იმსახურებს;

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II -მ საუკუნის წიგნი თავად ააბრძანა ათონის წმინდა მთაზე; წარგზავნა სინაზე; გადასცა მსოფლიოს უძველეს უნივერსიტეტებსა და მუზეუმებს;
პროექტის ავტორმა და მთავარმა რედაქტორმა დოქტორმა ნესტან კირთაძემ ტრილოგიის უკვე გამოცემული ტომები თავად გადასცა საჩუქრად კოლუმბიის, სორბონას, ლუვენის, მოსკოვის, ოდესის, ათენის და სხვა უნივერსიტეტებს და ამჟამად ,,ნათელი ქრისტესი. საქართველო" მსოფლიოს უძველესი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების რარიტეტულ კოლექციებში გამორჩეულ ადგილს იკავებენ.

ქართველთა საუკუნის ტრილოგიის ორი ტომის პრეზენტაცია შედგა მოსკოვის ქრისტე მაცხოვრის ტაძარში, რომელსაც ესწრებოდნენ: რფ პრეზიდენტი, რფ მთავრობის, პარლამენტის, აკადენიური, სახელოვნებო წრეების და საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები.

საუკუნის წიგნის მფლობელები არიან: საქართველოს, აშშ-ის, ევროპის სახელმწიფოთა, რუსეთის ფედერაციის, ისრაელის პრეზიდენტები, ინგლისის დედოფალი, პირველი დიპლომატები და პოლიტიკური ლიდერები; რომის პაპი, მსოფლიო პატრიარქი და მსოფლიოს სულიერი ლიდერები; სხვადასხვა სფეროში აღიარებული ქართველი და უცხოელი მოღვაწეები, წარჩინებული ახალგაზრდები, წიგნის მხარდამჭერები.

– – – – –

მიმდინარე პროექტები :

_____

უკანასკნელ წლებში დოქტორ ნესტან კირთაძეს განხორციელენული აქვს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პროექტი, რომელთაგან ნაწილი წარმოდგენილია CV-ის კონკრეტულ ნაკვეთში_ ,,პრეზენტაციები''.

_ამავე დროს, ბრიუსელში, პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციასთან _EUGS ერთად სტარტი აიღო გრძელვადიანმა საერთაშორისო პროექტმა ,, Europe Meets Georgia'', რომლის ეგიდით სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის თბილისში გაიმართა ევროპის ლიდერ ქალთა ბიზნესფორუმი _ EUROWOMAN –2015_GEORGIA, **რომელსაც საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა უმასპინძლა.**
საერთაშორისო პროექტი_ ,,ევროპა ხვდება საქართველოს '' გრძელდება;

_ 2018 წლიდან განხორციელებას დაიწყებს კიდევ ერთი მასშტაბური საერთაშორისო პროექტი_,, მსოფლიო ხვდება საქართველოს'', **რომელიც თავისი მასშტაბით, ორიგინალობით, სრულიად ახალი აქცენტებითა და უნიკალურობით, ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, უპრეცენდენტოა ჩვენს სინამდვილეში.**

დამატებითი ინფორმაცია:

დოქტორი კირთაძე ამჯერად მუშაობს საერთაშორისო პროექტზე ,, მსოფლიო ხვდება საქართველოს''.

პროექტი მომზადდა საქართველოს ლიდერი სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტების, საერთაშორისო არენაზე აღიარებული ქართველი და უცხოელი მეცნიერების თანაავტორობითა და მონაწილეობით.

ამ დრომდე პროექტის პრეზენტაციები შედგა:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში;

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, საგარეო ურთიერთობებისა და განათლებისა და კულტურის თავმჯდომარეების მონაწილეობით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში;

თბილისის მერიაში;

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრირქთან და საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის საერთაშორისო ფონდში;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში;

გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრიის, აშშ–ის , იაპონიის და სხვ. საერთაშორისო ექსპერტების წინაშე.

პროექტის სრული პაკეტი გადაეცა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს ევროკავშირსა და ევროკავშირის ქვეყნებში, დიდი ბრიტანეთში, აშშ_ი, და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

– – – – –

პროექტი განხორციელდება საქართველოს მთავრობის მხარდაჭირით _საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

საერთაშორისო პროექტი ,, მსოფლიო ხვდება საქართველოს '' გულისხმობს ევროპული და საერთაშორისო თანამეგობრეობისათვის თავალსაჩინო გახადოს ის უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა, სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, რითაც უძველისი ქრისტიანული ცივილიზაციის ქვეყანა _საქართველო უერთდება თავისუფალ სამყაროს და შეაქვს თავისი სრულიად განსაკუთრებული წვლილი მსოფლიო კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმის საგანძურში.

ექსკლუზიური საერთაშორისო პროექტი „მსოფლიო ხვდება საქართველოს“ ქმნის უნიკალურ შესაძლებლობას, რათა საერთაშორისო სტრატეგიული, პოლიტიკური, სახელოვნებო და სამეცნიერო–აკადემიური ცენტრების მეშვეობით ევროპისა და მსოფლიო საერთაშორისო საზოგადოება კიდევ ერთხელ შეხვდეს საქართველოს; გაიცნოს, შეაფასოს და გაიზიაროს მისი მრავალათასწლიანი ისტორია, სულიერება, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა; მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე წარმოადგინოს საქართველოს აქამდე უცნობი პროფილი.

– – – – –

მიმდინარე ექსკლუზიური აკადემიური პროექტი:

,,პირველი რესპუბლიკა _ 100 _ ასწლეული ახალი ასწლეულისთვის''

პროექტის ხანგრძლივობა 3 წელი.

ზემოაღნიშნული ექსკლუზიური აკადემიური პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს , კიდევ უფრო განვითარდეს და სრულიად ახალი ფორმატებითა და სტანდარტებით განხორციელდეს მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ახალი საერთაშორისო პროგრამები; სტუდენტთა, ფართო სპექტრის მეცნიერთა და პროფესორთა, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტთა თანამშრომლობა, კოორდინაცია, ჩართულობა და საერთაშორისო პროექტების განხორციელება ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან და აკადემიურ ცენრებთან , Think

Tank -ებთან , საექსპერტო საზოგადოებებთან, გამომცემლობებთან , საერთაშორისო ფონდებთან და სხვ.

ზემოაღნიშნული აკადემიური პროექტი პირდაპირ პასუხობს და მისი განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს წინაშე არსებულ მოთხოვნებს და გამოწვევებს, რათა ახალი სტარტი, ახალი ნიშნული და საერთაშორისო სტანდარტი გაკეთდეს თანამედროვე, ინტელექტუალური და მაღალხარისხიანი სპეციალისტების მოსამზადებლად.

– – – –

ჯილდოები:

დოქტორ ნესტან კირთაძეს მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები, მათ შორის :

- **2011 წელს , აღიარებული მედიაჯილდო ,, ოქროს პერგამენტი''**

  ჯილდო გადაეცა და ლაურეატის წოდება მიენიჭა _ საუკუნის პროექტისათვის_ ,, ნათელი ქრისტესი. საქართველო'';

- **2014 წელს , ,,მსოფლიო ქალის '' ტიტული _**
  გაწული საერთაშორისო, გლობალური, უმნიშვნელოვანესი და მრავალმხრივი საქმიანობის გამო , საერთაშორისო ბიზნესფორუმმა EUROWOMAN -2014 – მა ,,მსოფლიო ქალის '' ტიტული მიანიჭა და საპატიო დიპლომი გადასცა ქართულ-აფხაზური და ქართულ– ოსური სახლის დამფუძნებელს და საერთაშორისო მოძრაობის პრეზიდენტს, ევროკავშირ –საქართველოს საერთაშორისო ევროპული ორგანიზაციების კოალიციის ლიდერს, დოქტორ ნესტან კირთაძეს.

– – – – –